საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის

განკარგულება

03/06/2025 N 88

თბილისი

შპს „მაგი კრედიტი“-ს სესხის გამცემი სუბიექტისთვის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 52^2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61–ე მუხლის, ,,სესხის გამცემი სუბიექტის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 სექტემბრის N217/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ და „ვ“ ქვეპუნქტების და მე-3 პუნქტის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 16 სექტემბრის N235/04 ბრძანების საფუძველზე:

1. გაუქმდეს შპს „მაგი კრედიტი“-ს სესხის გამცემი სუბიექტის (საიდენტიფიკაციო ნომერი 402012665) რეგისტრაცია სარეგისტრაციო ნომრით სგს-0120095, მისამართზე: ქ. გურჯაანი, წმ. ნინოს ქ., ბაზრის მიმდებარე ტერიტორია;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „მაგი კრედიტი“-ს სესხის გამცემი სუბიექტის რეგისტრაციის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2019 წლის 11 მარტის N519 განკარგულება;
3. შპს „მაგი კრედიტმა“ ამ განკარგულების ამოქმედებიდან სამი თვის ვადაში უზრუნველყოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსვლა.
4. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ. N64), მხარისათვის მისი ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
5. განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის მისი გაცნობისთანავე.

მერაბ შალიკაშვილი

დეპარტამენტის უფროსი - მ.შ.
არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტი